სს სილქ როუდ ბანკი
პილარ 3 -ის წლიური ანგარიშგება 2018
SILK ROAD BANK

სარჩევი

შესავალი	3
მენეჯმენტის გაწცხადება	3
ბანკის საზედამხედველო კაპიტალი	4
აქციონერები და ჯგუფის სტრუქტურა	5
კორპორაციული მართვა	6
რისკების მართვა	13
აწაზღაურების პოლიტიკა	18



შესავალი

კომერციული ბანკის მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების ანგარიში დაფუძნებულია „საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის“ და ევროკავშირის ,,საკრედიტო ინსტიტუტების და საინვესტიციო ფირმების პრუდენციალური მოთხოვნების“ შესახებ არსებული გამჟღავნების მოთხოვნების ჩარჩოს საფუძველზე (,,კაპიტალის მოთხოვნების წესი“, ანუ “CRR და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2017 წლის 22 ივნისს N92/04 ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესზე“. გამჟღავნების მოთხოვნების შესრულება სავალდებულოა კომერციული ბანკებისათვის და ხელმისაწვდომს ხდის კომერციული ბანკის ძირითად ინფორმაციას, რაც განაპირობებს ბანკის წინაშე არსებული რისკებისა და საზედამხედველო კაპიტალის ადეკვატურობის შესახებ გამჭვირვალობის ზრდასა და ნდობის ამაღლებას.

მენეჯმენტის განცხადება

ბანკის მენეჯმენტის მიერ მომზადებული ანგარიშგება არის რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინფორმაციის გამოქვეყნება კაპიტალის ადეკვატურობის, კორპორაციული მართვისა და რისკების მართვის შესახებ. ამასთან, დირექტორატი ადასტურებს მოცემულ პილარ 3-ის ანგარიშგებაში ასახული ყველა მონაცემისა და ინფორმაციის უტყუარობასა და სიზუსტეს. ანგარიშგება მომზადებულია სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებული შიდა კონტროლის პროცესების დაცვით.

1. ბანკის საზედამხედველო კაპიტალი

ბანკის ზედამხედველო კაპიტალი შედგება შემდეგი ელემენტებისაგან: პირველადი და მეორადი კაპიტალი. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის პირველადი კაპიტალი შედგება ძირითადი პირველადი კაპიტალისგან და ძირითადად წარმოადგენილია შემდეგი ელემენტების ჯამისაგან:

მინიმალური მოთხოვნები	**კოეფიციენტი**	**თანხა (ლარი)**
პილარ 1-ის მოთხოვნები		
ძირითადი პირველადი კაპიტალის მინიმალური მოთხოვნა	4.50%	2,516,874
პირველადი კაპიტალის მინიმალური მოთხოვნა	6.00%	3,355,832
საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური მოთხოვნა	8.00%	4,474,442
კომბინირებული ბუფერი		
კაპიტალის კონსერვაციის ბუფერი	2.50%	1,398,263
კონტრციკლური ბუფერი	0.00%	-
სისტემური რისკის ბუფერი	0.00%	-
პილარ 2-ის მოთხოვნა		
პილარ 2-ის მოთხოვნა ძირითად პირველად კაპიტალზე	3.09%	1,729,846
პილარ 2-ის მოთხოვნა პირველად კაპიტალზე	4.13%	2,307,479
პილარ 2-ის მოთხოვნა საზედამხედველო კაპიტალზე	19.13%	10,697,081
	კოეფიციენტი	**თანხა (ლარი)**
ძირითადი პირველადი კაპიტალი	10.09%	5,644,983
პირველადი კაპიტალი	12.63%	7,061,574
საზედამხედველო კაპიტალი	29.63%	16,569,787

ჩვეულებრივი აქციები - ბანკის საწესდებო კაპიტალი დაყოფილია 611464 ცალ ჩვეულებრივ სახელობით აქციად, თითოეული აქციის ღირებულებით 100 ლარი. სულ, ბანკის განაღდებული საწესდებო კაპიტალი შეადგენს 61,146,400 ლარს;

გაუნაწილებელი მოგება (ზარალი) – (10,709,091) ლარi.

სულ, საზედამხედველო კაპიტალი 50,625,234 ლარი

ძირითადი პირველადი კაპიტალი - 50,380,941 ლარი
მეორადი კაპიტალი - 244,294 ლარი

„კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულების“ და „პილარ 2-ის ფარგლებში კომერციული ბანკებისათვის კაპიტალის ბუფერების განსაზღვრის წესის“ შესაბამისად, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის შესაბამისობა კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებთან:

2. აქციონერები და ჯგუფის სტრუქტურა

ბანკის მთავარი აქციონერია სს „სილქ როუდ საფინანსო ჯგუფი“ (ს/კ 205050692). ბანკის ბენეფიციარი მფლობელები არიან გიორგი რამიშვილი, ალექსი თოფურია და დევიდ ფრანც ბორგერი.

აქციონერთა ჯგუფის სტრუქტურა:



სს სილქ როუდ საფინანსო ჯგუფი არის სს სილქ როუდ ბანკის 99.99 %-ანი წილის მფლობელი. თავის მხრივ სს სილქ როუდ ბანკი ფლობს სს გაერთიანებული კლირინგ ცენტრის 6.05% და სს გუდაური 2.05% აქციებს.

3. კორპორაციული მართვა

ბანკის კორპორაციული სტრუქტურა იერარქიულად შედგება აქციონერთა საერთო კრების, სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორთა საბჭოსაგან, რომელთაგან თითოეულს გააჩნია საკუთარი პასუხისმგებლობა და უფლებამოსილება, საქართველოს კანონმდებლობის და ბანკის წესდების შესაბამისად. აქციონერთა საერთო კრება ბანკის უმაღლესი შიდა მმართველი ორგანოა, იგი ირჩევს სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს, რომლებიც პასუხს აგებენ დირექტორთა საბჭოს ზედამხედველობაზე. სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს წევრებს დირექტორთა საბჭოში.

<u>აქციონერთა საერთო კრების უფლებამოსილება</u>

- ბანკის წესდების ცვლილება;
- ბანკის საწესდებო კაპიტალის, საფირმო სახელწოდების, იურიდიული მისამართის ცვლილება;
- რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია;
- შერწყმის ან გაყოფის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
- აქციონერის მიერ აქციების უპირატესი შესყიდვის უფლების შეზღუდვა ან/და გაუქმება საწესდებო კაპიტალის გაზრდის მიზნით ახალი აქციების გამოშვების/ემისიის დროს;
- გადაწყვეტილების მიღება წმინდა მოგების გამოყენების შესახებ;
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა-გამოწვევა;
- დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშის დამტკიცება;
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შრომის ანაზღაურების ოდენობისა და შრომითი ანაზღაურების გადახდის წესის განსაზღვრა;
- დამოუკიდებელი აუდიტორის არჩევა;

<u>სამეთვალყურეო საბჭო</u>

სამეთვალყურეო საბჭო შედგება ექვსი წევრისგან, რომელთაგან ორი, თავმჯდომარის ჩათვლით, დამოუკიდებელი წევრია. სამეთვალყურეო საბჭოს ყოველ წევრს აქციონერთა საერთო კრება ირჩევს 4 (ოთხი) წლის ვადით. მათი განმეორებითი არჩევა შეუზღუდავია. სამეთვალყურეო საბჭოს წევრს უფლებამოსილება უგრძელდება ვადის გასვლამდე ან ვადის გასვლის შემდეგ მორიგი საერთო კრების მოწვევამდე, რომელზეც აირჩევა სამეთვალყურეო საბჭოს ახალი წევრი.

<u>სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქცია მოვალეობები:</u>

- განსაზღვროს ბანკის ბიზნეს პოლიტიკა, მიღოს და დაამტკიცოს პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები;

- დაამტკიცოს ბანკის განვითარების სტრატეგიული და წლიური გეგმა, ბიუჯეტის ჩათვლით;
- მოამზადოს რეკომენდაციები აქციონერთა საერთო კრებისათვის, შეასრულოს აქციონერთა საერთო კრების მითითებები;
- აირჩიოს დირექტორატის წევრები;
- დაამტკიცოს საკრედიტო, საინვესტიციო, სავალუტო, აქტივებისა და ვალდებულებების მართვის, აქტივების შეფასების, მათი კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების ადეკვატური რეზერვის შექმნის შიდა პოლიტიკები და პროცედურები. ასევე, დაამტკიცოს ბანკის საკრედიტო კომიტეტის, დირექტორატის, კორპორაციული მდივნის და აუდიტის შესახებ შიდა დებულებები;
- დაამტკიცოს ბანკის მიერ საკრედიტო რესურსებზე და დეპოზიტებზე გამოსაყენებელი მინიმალური და მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთების ოდენობა;
- კონტროლი გაუწიოს ბანკის დირექტორატის საქმიანობას;
- მიიღოს გადაწყვეტილება ბანკის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შეძენის, გასხვისების ან უფლებრივად დატვირთვის შესახებ;

  სამეთვალყურეო საბჭოს წევრის დამოუკიდებლობა განისაზღვრება კორპორაციული მართვის კოდექსით და საქართველოს კანონმდებლობთ.

<u>საბჭოს დაბალანსებულობის შეფასება</u>

ირაკლი მანაგაძე
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს 2019 წლის 28 თებერვალს

ირაკლი მანაგაძემ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი, ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალობით.

1991 წელს ირაკლი მანაგაძე ინიშნება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში ატაშეს თანამდებობაზე. 1993 წელს საქმიანობას აგრძელებს საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სახელმწიფო კომიტეტში მთავარ სპეციალისტად. 1993-1994 წლებში იყო საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ეკონომიკის განყოფილების წამყვანი სახელმწიფო მრჩეველი და სამდივნოს უფროსი.

1994 წელს ირაკლი მანაგაძე მუშაობს საქართველოს მინისტრთა კაბინეტის საერთაშორისო საფინანსო და ეკონომიკურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის სამთავრობო კომისიის სამდივნოში - ჯერ სახელმწიფო მრჩევლად, შემდეგ კი წამყვან სახელმწიფო მრჩევლად.

1994 წლიდან 1996 წლამდე ირაკლი მანაგაძე ვაშინგტონში (აშშ) მსოფლიო ბანკის აღმასრულებელი დირექტორის თანაშემწის თანამდებობაზეა, 1996-1998 წლებში კი - მსოფლიო ბანკის მეოთხე ევროპული დეპარტამენტის მუნიციპალური და სოციალური ინფრასტრუქტურის განყოფილების ინსტიტუციონალური სპეციალისტი.

1998 წლის მარტში ირაკლი მანაგაძე ინიშნება საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტად და ეროვნული ბანკის საბჭოს თავმჯდომარედ. 2005-2015 უფროსი მრჩეველი პოლიტიკის საკითხებში, EBRD, ფინანსური ნსტიტუტების ჯგუფი, ლონდონი, დიდი ბრიტანეთი, 2015 წლიდან დღემდე უფროსი მრჩეველი, J. Stern & Co. LLP, ლონდონი, დიდი ბრიტანეთი. 2017 წლიდან დღემდე კონსულტანტი, მსოფლიო ბანკის ჯგუფი, ვაშინგტონი, კ.ო. 2018-2019 წწ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, სს „ლიბერთი ბანკი“, საქართველო.

ირაკლი მანაგაძეს მინიჭებული აქვს ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

ვასილ კენკიშვილი
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე/თანათავმჯდომარე

მიღებული განათლება: 1995-2000 წლები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურისდიული ფაკულტეტი, იურისტი.
2000-2003 წლები, საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, ასპირანტი. 2003-2004 წლები AMERICAN UNIVERSITY, WASHINGTON COLLEGE OF LAW, საერთაშორისო სამართლებრივ მოძღვრებათა მაგისტრი (LLM). საერთშორისო ბიზნეს სამართლის განხრით.
სამუშაო გამოცდილება:

2005 წელი, საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კომპანია (GIOC) სამართლებრივი კონსულტანტი. 2004-2006 წლები, შპს "საქართველოს რკინიგზა" რესტრუქტურიზაციისა და განვითარების სააგენტოს რესტრუქტურიზაციის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი. 2010-2011 წლები, შპს "ესარჯი ინვესტმენტსი" დირექტორი. 2011 წელი დღემდე შპს "ესარჯი ინვესტმენტსი, გენერალური დირექტორი. 2011-2018 წლები, სს "სილქ როუდ ბანკი" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე , 2018-დან დღემდე სს "სილქ როუდ ბანკი" სამეთვალყურეო საბჭოს თანათავმჯდომარე.

მამუკა შურღაია
სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

მიღებული აქვს განათლება კავკასიის ბიზნესის სკოლა, ფინანსები.
სამუშაო გამოცდილება - 2006 წელი, სს “თიბისი ბანკი” დეპოზიტების მმართველი. 2006 2011 წლები “Ernst & Young”-ის თბილისის ოფისი, უფროსი აუდიტორი. 2011-2012 წლები, შპს “ესარჯი ინვესტმენტსი”, დირექტორის მოადგილე ფინანსურ საკითხებში. 2012 წლიდან დღემდე, შპს “ესარჯი ინვესტმენტსი”, ფინანსური დირექტორი.

გიორგი მარრი
სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

მიღებული განათლება: 1995-1999 წლები, ESM - თბილისი ბიზნეს ადმინისტრირება. 1999-2000 წლები, მოსბახის აკადემია, მოსბახი გერმანია, Diplom Betriebswirt (BA). 2012-2013 წლები, INSEAD, ფონტენბლო და სინგაპური, ბიზნეს ადმინისტრირება.
სამუშაო გამოცდილება: 2005-2006 წლები, მოსკოვი აუდიტის განყოფილების უფროსი ასისტენტი. 2006 წელი, პრაისუოტერჰაუსკუპერსი, მოსკოვი ბიზნეს კონსულტაციის განყოფილების მენეჯერი. 2006-2012 წლები, შპს ესარჯი ინვესტმენტსი, სილქ როუდ გრუპის პორტფელის მმართველი კოპმანია, დირექტორი. 2013-2014 წლები, კეიჯი ენერჯი ჰიდროელექტროსადგურების მფლობელი კომპანია, ფინანსური მრჩეველი. 2013 წლიდან დღემდე. შპს თისიპი მენეჯმენტი, სტრატეგიული საკონსულტაციო კომპანია, დირექტორი/მფლობელი.

დევიდ ფრანც ბორგერი
სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

მიღებული განათლება - 1985-1987 წლები, Berufsakademie, მანჰაიმი, გერმანია გამოყენებითი საინფორმაციო ტექნოლოგიების კურსი, ხარისხი: Wirtschaftsassistent. 1990-195 წლები, ვიტენის/ჰერდეკის უნივერსიტეტი, გერმანია, ბიზნეს ეკონომიკის კურსი, ხარისხი: Diplom-Ökonom. 1996-2000 წლები, ლონდონის ეკონომიკის სკოლა, გაერთიანებული სამეფო, რისკების ფინანსური კვლევა და ფინანსური ინსტრუმენტების საბუღალტრო აღრიცხვა, საუნივერსიტეტო ხარისხი: ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი (PhD) ბუღალტერიასა და ფინანსებში.
სამუშაო გამოცდილება - 1993-1996 წლები, საერთაშორისო სავაჭრო ცენტრი (ITC UNCTAD/WTO), ჟენევა, შვეიცარია, პროექტის ბაზაზე მოქმედი კონსულტანტი. 1996-2000 წლები, ლონდონის ეკონომიკის სკოლა, გაერთიანებული სამეფო, სასწავლო საბჭოს წევრი და ლექტორი. 2000-2003 წლები, ბოსტონის კონსალტინგური ჯგუფი, მიუნხენი, გერმანია, პროექტის ხელმძღვანელი. 2008-2009 წლები, შპს ტერაკოტა გრუფ“, ბიზნესის განვითარების საბჭოს წევრი. 2005 წლიდან დღემდე, შპს „სილქ როუდ სერვისიზ“, მმართველი დირექტორი.

მზია ქოქუაშვილი
სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

მიღებული განათლება - თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამშენებლო ეკონომიკა და მენეჯმენტი. საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია.
სამუშაო გამოცდილება - 2005-2007 წლები, შპს „ლომისი“ მთავარი ბუღალტერი. 2007-2009 წლები, შპს „ინტერპლასტი“ მთავარი ბუღალტერი. 2009-2010 წლები, შპს „ბარამბო“ მთავარი ბუღალტერი. 2010 წელი, შპს „ფინანსური მართვის ჯგუფი“ აუდიტი. 2010 წლიდან დღემდე, შპს „ეფემჯი კონსულტანტი“ უფროსი პარტნიორი, დირექტორი.

<u>ბანკის დირექტორთა საბჭო</u>

ბანკის დირექტორთა საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი, არის აღმასრულებელი ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია ბანკის ყოველდღიურ მართვაზე. დირექტორთა საბჭოს უფლება-მოვალეობა

- ბანკის ფულადი სახსრებისა და ფასეულობების დაკრედიტების, ანგარიშსწორების, დაფინანსების, ფულადი მომსახურებების, უსაფრთხოების, საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების საკითხების განხილვა და შიდა კონტროლი;
- სამეთვალყურეო საბჭოზე მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების უზრუნველყოფა;
- სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული პოლიტიკის, კანონქვემდებარე ნორმატიული და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტების შემუშავება და ასეთ პოლიტიკასთან, კანონქვემდებარე ნორმატიულ და მარეგულირებელ დოკუმენტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;
- მომავალი წლის ბიზნეს გეგმის მომზადება და წარდგენა სამეთვალყურეო საბჭოზე დასამტკიცებლად
- კადრების დანიშვნა, გათავისუფლება, ტრენინგისა და ანაზღაურების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
- საჭიროების შემთხვევაში, რიგგარეშე აქციონერთა საერთო კრების მოწვევა;

დირექტორების წევრთა შერჩევის პოლიტიკა, მათი განათლება, გამოცდილება და უნარები.

<u>საბჭოს დაბალანსებულობის შეფასება</u>

ელი ენოხ
<u>გენერალური დირექტორი</u>
დაინიშნა 2019 წლის 1 აპრილიდან

კონტროლს დაქვემდებარებული მიმართულებები ბანკში - ფინანსური დირექტორი, რისკების დირექტორი, კორპორატიული სამდივნო, შიდა აუდიტის სამსახური, კორპორატიული, მცირე და საშუალო ბიზნესის სესხების დეპარტამენტი, საცალო სესხების დეპარტამენტი, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური, უსაფრთხოების სამსახური, ადამიანთა რესურსების სამსახური, ადმინისტრაცია.

მიღებული განათლება - ბიზნესის ადმინისტრირებისა და ეკონომიკის ბაკალავრი, 1996 წელი, ებრაული უნივერსიტეტი, ისრაელი.

სამუშაო გამოცდილება- 1996-1999 წლები, საბრძოლო სისტემების და ადამიანური რესურსების ბიუჯეტის განყოფილების უფროსის მოადგილე, ისრაელი სამხედრო ფლოტი. 1999-2002 წლები, გაყიდვებისა და მარკეტინგის განყოფილების უფროსი ისრაელი სამხედრო ფლოტი. 2003-2006 წლები, ფინანსური მენეჯერი, საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესი. 2006 წელი სს „კაუკასუს ფაინენშიალ სერვისეს“ აღმასრულებელი დირექტორი. 2006-2011 წლები, სს "ლიბერთი კონსუმერი" (ყოფილი სს "გალტ & თაგარტ კაპიტალი) გენერალური დირექტორი.

2009-2011 წლები, სს "თელიანი ველი" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე. 2012-2019 წლები, სტრატეგიული პროექტების განვითარების სამსახურის უფროსი სს „სილქნეტი“.

გიორგი ღიბრაძე
რისკების დირექტორი

კონტროლს დაქვემდებარებული მიმართულებები ბანკში - რისკების მართვის დეპარტამენტი, ხაზინა, ქონების შეფასების ჯგუფი, სასამართლო სააღსრულებო მხარდაჭერის განყოფილება, იურიდიული განყოფილება.
მიღებული განათლება - 1993-1997 წლები: თბილისის საერო უნივერსიტეტი "გაენათი".
სამუშაო გამოცდილება - 2005 წელი, სს “კახეთის ენერგოდისტრიბუცია” იურიდიული დეპარტამენტის უფროსი. 2005 წელი: სს “საქართველოს სახალხო ბანკი” იურიდიული დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი. 2005 წლიდან დღემდე: სს "სილქ როუდ ბანკი" იურიდიული დეპარტამენტის უფროსი. რისკების დირექტორის მოადგილე, რისკების დირექტორი.

ნათია მერაბიშვილი
ფინანსური დირექტორი

კონტროლს დაქვემდებარებული მიმართულებები ბანკში-საოპერაციო დეპარტამენტი, ცენტრალური ბექ.ოფისი, ქოლ.ცენტრი, ცენტრალური ფილიალი, ბუღალტრული აღრიცხვის და ანგარიშგების დეპარტამენტი, ლოჯისტიკა.
მიღებული განათლება - 1987-1992 წწ, თბილისის ივ. ჯავახიშვილისი სახელობის სახ. უნივერსიტეტი, მაკროეკონომიკის ფაკულტეტი. 1993-1994 წწ იტალიის ქალაქ ფერარის უნივერსიტეტი - მაკროეკონომიკის ფაკულტეტი. 2010-2012 წწ ACCAგანათლება: 2010 –2012 წწ სერტიფიცირებულ და კორპორატიულ ბუღალტერთა ასოციაცია (ACCA)
სამუშაო გამოცდილება -2011 წლიდან დღემდე სს „სილქ როუდ ბანკის“ ფინანსური დირექტორი. 2010-2011 წლები საოპერაციო დეპარტამენტის უფროსი.. 2009–2010 წლები სერვის ცენტრების მართვის დეპარტამენტის უფროსი. 2007-2009 შიდა საბანკო ოპერაციების ადმინისტრირების დეპარტამენტის უფროსი. 1999-2007 წლები, საქართველოს ეროვნული ბანკი ფულად-საკრედიტო ოპერაციების დეპარტამენტის უფროსი, უფროსის მოადგილე. 1994–1999 წლები, ეროვნული ბანკის ლიზენცირების განყოფილების უფროსი. 1993-1994 წლები, ეროვნული ბანკის სავალუტო ოპერაციების დეპარტამენტის მთავარი ეკონომისტი. 1992-1993 წლები, ეროვნული ბანკის ნაღდი ფულის მიმოქცევის დეპარტამენტის ეკონომისტი.

<u>ბანკის დირექტორატის აღმასრულებელი დონის კომიტეტები</u>

აქტივებისა და პასივების მართვის კომიტეტის შემადგენლობა

- გენერალური დირექტორი - კომიტეტის თავმჯდომარე;
- რისკების დირექტორი - კომიტეტის წევრი;
- ფინანსური დირექტორი - კომიტეტის წევრი;
- ხაზინის განყოფილების უფროსი - კომიტეტის წევრი;
- რისკების მართვის დეპარტამენტის უფროსი - კომიტეტის წევრი
- კორპორატიული და მცირე და საშუალო ბიზნესის დეპარტამენტის უფროსი (გენერალური დირექტორის მოადგილე კომერციული მიმართულებით) - კომიტეტის წევრი;

აქტივებისა და პასივების მართვის კომიტეტის ფუნქციები

- ბანკის აქტივებისა და პასივების ეფექტური მართვის პროცესის განსაზღვრა.
- საბანკო პროდუქტების რენტაბელობის, მათზე საბაზრო პირობებისა და ბანკის კლიენტების მოთხოვნების შესაბამისი განაკვეთებისა და ტარიფების დადგენის მოქნილი და ეფექტური სისტემის ფორმირება.
- ადეკვატური დონის ლიკვიდობის შენარჩუნების, პრუდენციული ნორმატივებისა და ნორმატიული აქტების მოთხოვნების შესრულებისა და საბაზრო რისკების მინიმიზაციის პირობებში ბანკის საპროცენტო და არასაპროცენტო შემოსავლების ზრდაზე მიმართული აქტიური და პასიური ოპერაციების საერთო ქცევის განსაზღვრა.
- რისკსა და შემოსავლიანობას შორის ოპტიმალური თანაფარდობის მიღწევის მიზნით ფინანსური რისკების კომპლექსური მართვა, ქვედანაყოფების საქმიანობის კოორდინაცია რისკების მართვის სფეროში.
- ფინანსური რისკების კონსოლიდირებული მონიტორინგი (ლიკვიდობის, საპროცენტო და სავალუტო რისკი).

საკრედიტო კომიტეტის შემადგენლობა

- გენერალური დირექტორი - კომიტეტის თავმჯდომარე
- რისკების დირექტორი - კომიტეტის წევრი
- კორპორატიული და მცირე და საშუალო ბიზნესის დეპარტამენტის უფროსი -
- რისკების მართვის დეპარტამენტის უფროსი - კომიტეტის წევრი

საკრედიტო კომიტეტის ფუნქციები

- საკრედიტო პროდუქტებით მომსახურებაზე გადაწყვეტილების მიღება;
- ინდივიდუალური და ჯგუფური დაკრედიტების პროცესის ორგანიზება და წარმართვა;
- საკრედიტო პროდუქტებთან დაკავშირებული კონკრეტული სამოქმედო გეგმების დასახვა;
- კომიტეტზე განსახილველ საკითხებზე გადაწვეტილებების მიღება და მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულებაზე კონტროლი.

პროცედურული კომიტეტი შემადგენლობა

- კომიტეტის თავმჯდომარე - ფინანსური დირექტორი
- კომიტეტის თანათავმჯდომარე - კორპორაციული და მცირე და საშუალო ბიზნესის დეპარტამენტის უფროსი (გენერალური დირექტორის მოადგილე კომერციული მიმართულებით) ;
- კომიტეტის წევრი - საოპერაციო დეპარტამენტის უფროსი;
- კომიტეტის წევრი - იურიდიული განყოფილების უფროსი;
- კომიტეტის წევრი - რისკების მართვის დეპარტამენტის უფროსი;
- კომიტეტის წევრი– საოპერაციო რისკების და საკრედიტო ადმინისტრირების განყოფილების უფროსი ;
- კომიტეტის წევრი - საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი

კომიტეტის მიზანია დირექტორთა საბჭოსთან შეთანხმებული ხედვებიდან და გეგმებიდან გამომდინარე ნორმატიული ბაზის შექმნისა და განახლების მეშვეობით ბანკში მიმდინარე ბიზნეს-პროცესების ორგანიზება, სტრუქტურირება, ოპტიმიზაცია.

4. რისკების მართვა

ბანკის სტრატეგია რიკების კუთხით განვითარების მოცემულ ეტაპზე არის კონსერვატიული რაც გამოიხატება ძირითადი რისკების წყაროების მიმართ საშუალოზე მაღალი ბუფერების შენარჩუნებით. საშუალო ვადიან პერიოდში ბანკი არ გეგმავს მკვეთრად შეცვალოს მიმართულება და გააგრძელებს ზომიერ ზრდას რაც მთლიანობაში მიახლოებული იქნება საბანკო სექტორის ზრდასთან შესაბამისად რისკების პროფილის მკვეთრი ცვლილება არ არის მოსალოდნელი.

ბანკისთვის სტრატეგიული დაგეგმვის დროს მთავარი მიზანია:

- კაპიტალის ადექვატურობის უზრუნველყოფა
- ლიკვიდობის დონის უზრუნველყოფა მაღალი დონით (იგულისხმება როგორც მოკლევადიანი ლიკვიდობის დონე, ასევე სტაბილური დაფინანსების წყაროს არსებობა)

სს სილქ როუდ ბანკის საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი რისკები - საკრედიტო რისკი, ლიკვიდურობის და საბაზრო რისკები (საპროცენტო და სავალუტო რისკების ჩათვლით) და საოპერაციო რისკი. ასევე, ბანკი აცნობიერებს რეპუტაციის და შესაბამისობის რისკების არსებობას.

რისკების მართვის პროცესმა უნდა უზრუნველყოს რისკების მართვის გამჭირვალე პროცესის მიღწევა და შედეგად ნდობის მოპოვება დაინტერესებული მხარეებისგან, ბანკის შენარჩუნებადი ზრდის ტემპი მაღალი გამძლეობის და ადექვატური რისკების მართვის პირობებში, ბანკის სტრატეგიის განხორციელების საშუალება, რისკების მართვის წარმოჩენა როგორც კონკრენტული უპირატესობა ბანკისთვის.

რისკების მართვის პოლიტიკა თითეული მიმართულებით მტკიცდება სამეთვალყურეო საბჭოზე და გადაიხედება მინიმუმ წელიწადში ერთხელ.
სტრუქტურულად, ყოველდღიური რისკების მართვის ფუნქცია დამოუკიდებელია და ექვემდებარება რისკების მართვის დირექტორს, რომელიც თავის მხრივ ანგარიშვალდებულია გენერალურ დირექტორთან.
ბანკის დამოუკიდებელი შიდა აუდიტის სამსახური დირექტორატთან ერთად მოქმედებენ როგორც კონტროლის და ზედამხედველობის მექანიზმი ბანკის რისკების მართვის ეფეტურობის შეფასებისთვის.

ძირითადი რისკის კატეგორიები:

საკრედიტო რისკი - ბანკისთვის ყველაზე მატერიალური რისკის ტიპია და გამოიხატება დანაკარგში რაც გამოწვეულია ბანკის მიმართ არსებული დავალიანების გადაუხდელობით. ბანკი ძირითადად დაკავებულია ტრადიციული სახის გასესხებით და აქვს მარტივი ბალანსის სტრუქტურა. ბანკის საკრედიტო რისკის კონტროლს ახორციელებს საკრედიტო რისკების განყოფილება და გადაწყვეტილებები მიიღება საკრედიტო კომიტეტზე, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ბანკის დირექტორები. შიდა პოლიტიკით და ეროვნული ბანკის რისკების პოლიტიკის შესაბამისად გარვეული საკრედიტო გადაწყვეტილებები მიიღება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

საკრედიტო რისკის მიტიგაციის მნიშვნელოვანი სესხის უზრუნველყოფა სათანადო წესით დარეგისტრირებული და შეფასებული ეროვნული ბანკის სტანდარტების დაცვით.

ჯამური უზრუნველყოფა სასესხო პორტფელზე 2018 წლის ბოლოსათვის შეადგენს 31 მილიონ ლარს რომლის სტრუქტურა შემდეგია:

გირავნობის უზრუნველყოფის სახით მიღებული აქტივები:	
ფულადი სახსრები	0.3%
უძრავი ქონება:	51.5%
საცხოვრებელი	*17.2%*
კომერციული	*18.1%*
კომპლექსური ტიპის უძრავი ქონება	*2.1%*
მიწის ნაკვეთები	*14.0%*
მოძრავი ქონება	0.3%
სხვა	48.0%

ლიკვიდობის რისკი - ლიკვიდობის რისკი საბანკო საქმიანობის თანმდევია. ბანკი ნაკლებად დგას ბაზრის ლიკვიდობის რისკთან რადგან არ არის აქტიურად ჩართული ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობით. დაფინანსების რისკის მხრივ ბანკი მუდმივად ცდილობს შეინარჩუნოს მაღალი ლიკვიდობის დონე. ყოველდღიურ ლიკვიდობას მართავს ხაზინის განყოფილება. ბანკი ასევე აწარმოებს ბაზელის მოკლევადიანი

გადაფარვის (LCR) და გრზევლვადიანი სტაბილური დაფინანსების (NSFR) კოეფიციენტების დაცვა.
ლიკვიდური სახსრების განთავსება ხდება მხოლოდ მაღალ ლიკვიდურ ფინანსურ ინსტრუმენტებში როგორიცაა ნაღდი ფული, განთავსებები ეროვნულ ბანკში და ადგილობრივ კომერციულ ბანკებში; ასევე ჭრბი ლიკვიდობისთვის ბანკი აქტიურად იყენებს საინვესტიციო ფასიან ქაღალდებს სახაზინო ვალდებულებების სახით.

საბაზრო რისკები - ბანკს არ გააჩნია სავაჭრო პორტფელი და არ არის ჩართული სპეკულაციურ საქმიანობაში. შესაბამისად მის წინაშე დგას ძირითადად საპროცენტო და სავალუტო რისკები რაც გამოწვეულია ტრადიციული საბანკო საქმიანობით.
საპროცენტო რისკი - ბანკის წინაშე დგას ტრადიციული საბანკოს საქმიანობით გამოწვეული საპროცენტო რისკი რაც დაკავშირებულია აქტივების და ვალდებულებების შესაძლო შეუთავსებლოებით გადაფასების ვადიანობების მიხედვით. საპროცენტო რისკების ყოველდღიურ მართვას ახორციელებს ხაზინა აქტივე აქტივების და ვალდებულების კომიტეტის (ალკო) მიერ დადგენილი ჩარჩოს შესაბამისად.
სავალუტო რისკი - ბანკი აცნობიერებს სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული აქტივების და ვალდებულების გადაფასებით მიღებული დანაკარგის რისკს. ბანკის სტრატეგია სავალუტო რისკთან მიმართებაში არის რომ არ ჩაერთოს სპეკულაციურ საქმიანობაში ღია სავალუტო პოზიციის მეშვეობით. ყოველდღიურ სავალუტო რისკის პოზიციის მართვას ახორციელებს ხაზინა აქტივების და ვალდებულების კომიტეტის (ალკო) მიერ დადგენილი ჩარჩოს შესაბამისად.
საოპერაციო რისკი - ბანკი აცნობიერებს შესაძლო დანაკარგებს რაც გამოწვეულია არაადექვატური და გაუმართავი პროცესების შედეგად, ასევე გამოწვეული თანამშრომლების, სისტემების ან გარე მოვლენების შედეგად. ეს ასევე მოიცავს იურიდიულ რისკებსაც. საოპერაციო რისკების კონტროლი ხორციელდება საოპერაციო რისკების განყოფილების მიერ რომელიც შედის რისკების მართვის დეპარტამენტში.

რეპუტაციის რისკი - წარმოადგენს ბანკისთვის შესაძლო რეპუტაციული კაპიტალის დანაკარგს და ზოგადად ორგანიზაციის ღირებულების შემცირებას. იგი მოიცავს უარყოფით მოვლენებს დაკავშირებულს ეთიკასთან უსაფრთხოებასთან, ხარისხთან და ინოვაციასთან.

შესაბამისობის რისკი- ბაკნკი ექვემდებარება ადგილობრივ რეგულაციებს და შესაბამისად დიდ ყურადღებას უთმობს შესაბამისობის რისკს. ბანკის სამეთვალყურეო საბჭო უმაღლეს პრიორიტეტულობას ანიჭებს შესაბამისობის დაცვას მუდვივ რეჟიმში და სამომავლო შესაძლო რეგულაციებისთვის წინასწარ მზადებას.

სტრეს ტესტები

ბანკი ახორციელებს სტრეს ტესტს მინიმუმ წელიწადში ერთხელ ეროვნული ბანკის სტრეს ტესტების მეთოდური სახელმძღვანელოს მიხედვით.
სტრესტ ტესტის ძირითადი შოკური სცენარებია:

შოკის გამო ხდება გლობალურად ეკონომიკური აქტივობის შენელება. ჩვენი რეგიონის ქვეყნებში რეცესიაა. პარალელურად, მყარდება აშშ დოლარი ყველა ვალუტასთან და რისკის პრემიის ზრდის გამო იზრდება საპროცენტო განაკვეთები.
ჩვენი ეკონომიკისთვის მაკროეკონომიკური პარამეტრები შემდეგნაირად იცვლება:

- მთლიანი შიდა პროდუქტის 5%–იანი შემცირება, რაც ცალკეულ კომპანიების ბრუნვების კლებაზე აისახება ცხრილი №1-ის შესაბამისად;
- სასაქონლო პროდუქტებზე (ოქრო და სხვა) ფასების შემცირება;
- ეროვნული ვალუტის გაუფასურება 20%–ით;
- უძრავი ქონების ფასების შემცირება აშშ. დოლარში 30%–ით;
- საპროცენტო განაკვეთების ზრდა 2 პროცენტული პუნქტით, საპროცენტო გეპის გადაფასებისა და ცვლადგანაკვეთიან სესხებზე საკრედიტო დანაკარგების შეფასებისთვის;
- დასაქმებულთა რაოდენობის 5%–ით შემცირება;
- დასაქმებულთა შემოსავლების 5%–ით შემცირება;

სტრესტესტი ტარდება სტატიკურ ბალანსზე, ანუ არ ხდება სესხებისა და სხვა აქტივების მოცულობის ცვლილება. დაფარული აქტივ-პასივები ჩანაცვლდება იგივე აქტივ-პასივებით. უცხოური ვალუტის საბალანსო მუხლები გადაფასდება ვალუტის კურსის ცვლილების შესაბამისად. ასევე, საკრედიტო პორტფელი კორექტირდება შესაძლო დანაკარგების რეზერვით.

სტრეს ტესტების მიზნებისათვის ბანკის აქტივები და გარებალანსური მუხლები იყოფა კატეგორიებად:

- კორპორატიული და მცირე/საშუალო პორტფელი (საბალანსო, გარესაბალანსო) - საზედამხედველო კაპიტალის 1%-ზე მეტი ვალდებულებების მქონე მსესხებელი ჯგუფები; თითოეული ჯგუფი უნდა დაექვემდებაროს ინდივიდუალურ შეფასებას;
- კორპორატიული და მცირე/საშუალო პორტფელი (საბალანსო, გარესაბალანსო) - საზედამხედველო კაპიტალის 1%-ზე ნაკლები ვალდებულებების მქონე მსესხებელი ჯგუფები. შერჩევით შესაფასებელი; დანარჩენ პორტფელზე გავრცელდება შედეგები.
- მიკრო ბიზნეს პორტფელი (საბალანსო, გარესაბალანსო) - შერჩევით შესაფასებელი; დანარჩენ პორტფელზე გავრცელდება შედეგები.
- საცალო პორტფელი (საბალანსო, გარესაბალანსო) - შერჩევით ან სხვადასხვა მოდელის საშუალებით შესაფასებელი; დანარჩენ პორტფელზე გავრცელდება შედეგები.

სტრესტესტის შედეგები მიიღება შემდეგ ჭრილებში:

- მოგება-ზარალი
  კეთდება ერთწლიანი პროგნოზირება, სტრესის ეფექტის კორექტირებების გათვალისწინებით.
- საპროცენტო რისკი
  ითვლება საპროცენტო განაკვეთების ზრდის შედეგად მოგება-ზარალი საპროცენტო გეპის გადაფასებიდან 1-წლიან ჰორიზონტზე.

- კაპიტალის ადეკვატურობა
  საზედამხედველო კაპიტალის დათვლისას გაითვალისწინება როგორც საზედამხედველო კაპიტალის ელემენტების, ისე საზედამხედველო კაპიტალის კორექტირებების განახლება სტრესის პირობებში არსებული ბალანსით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელი (IFRS 9)

ბანკში დანერგილია ფინანსური აქტივების ფასს 9-ის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღრიცხვის მოდელი შესაბამისი პოლიტიკით და მეთოდოლოგიით.
ფასს 9-ის მიხედვით საკრედიტო რისკების შეფასებისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საპროგნოზო ინფორმაციის ანალიზს. კერძოდ, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას გათვალისწინებულია მაკროეკონომიკური და ფინანსური ფაქტორების ანალიზი, მოსალოდნელი ტენდენციები და რისკები.
ფასს 9-ის მიხედვით გაუფასურების რეზერვის გამოთვლისას გამოიყენება მოსალოდნელი ზარალის მიდგომა, მნიშვნელოვნად აუმჯობესებს საკრედიტო რისკის შეფასების პროცესს.
ფინანსური აქტივები რომლებზეც ხდება მოსალოდნელი დანაკარგის მოდელირება:

- ეროვნულ ბანკში განთავსებული სახსრები
- საკორესპონდენტო ბანკებში განთავსებული სახსრები
- ბანკთაშორისი დეპოზიტები
- ფასიანი ქაღალდები
- სასესხო პორტფელი

სასესხო პორტფელი წარმოადგენს ბანკისთვის საკრედიტო რისკის ყველაზე დიდ წყაროს. სესხებზე მოსალოდნელი დანაკარგები ფასდება კოლექტიურად სეგმენტების ჭრილში და ასევე ინდივიდუალურად (ბიზნეს სესხები)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება ანგარიშგების თარიღისთვის არსებული ფინანსური ინსტრუმენტის მიმდინარე საბალანსო ღირებულების გადამრავლებით ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის ალბათობაზე (PD), დეფოლტში მყოფი რისკის პოზიციაზე (EAD) და დეფოლტის შემთხვევაში ზარალის კოეფიციენტზე (LGD) შემდეგნაირად:

$$ECL= (P \times LGD \times EAD \times PD)$$

სადაც,
P – ფინანსური ინსტრუმენტის მიმდინარე ბალანსი (ძირი + დარიცხული პროცენტი).
დეფოლტის ალბათობის დასაკორექტირებლად გამოყენებული იქნა ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული მომავალი საანგარიშგებო პერიოდის შეწონილი მაკროეკონომიკური პროგნოზები.

5. ანაზღაურების პოლიტიკა

ბანკის თანამშრომელთა ანაზღაურების შედგება მატერიალური და არამატერიალური ანაზღაურებისგან. ბანკის თანამშრომლების მატერიალური ანაზღაურება თავის მხრივ იყოფა ფიქსირებული და ცვლადი ნაწილისგან. ფიქსირებული ნაწილია თანამდებობრივი სარგო/ხელფასი. ბანკის თანამშრომლების ანაზღაურების ცვლადი ნაწილი შეიძლება მოიცავდეს პერიოდულ (ყოველთვიურად, კვარტალურ) და ერთჯერად ბონუსებს, წლის შედეგების გათვალიწინებით წლიურ პრემიას, წამახალისებელ სამოტივაციო განაცემებს.

არამატერიალური ნაწილი შედგება წამახალისებელ ან/და სოციალურ ანაზღაურებისაგან, კერძოდ: სადაზღვევო პაკეტი, კვალიფიკაციის ასამრლებელი კურსების დაფინანსება ტრანსპორტით უზრუნველყოფა და ა.შ. ფიქსირებული და ცვალებადი ნაწილის თანაფარდობა ანაზღაურების სტრუქტურაში მერყეობს შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით:

- ცვლადი ელემენტი უფრო მაღალია ისეთ პოზიციებზე, რომლებიც უშუალოდ არიან ჩართულები ბანკის კლიენტების მომსახურებასა და შემოსავლების გენერირებაში. (Front Office). კრედიტ ოფიცრები, ფილიალის და ხაზინის თანამშრომლები.
- სტრუქტურული ერთეულისათვის გუნდური ამოცანის ან/და ინდივიდუალურად დაკისრებული ვალდებულებების შესრულების შესაბამისად (მაგალითად გაყიდვების გეგმების შედეგები);
- (Back Office) ბექ ოფისის თანამშრომლების ანაზღაურებაში ძირითადი შემადგენელი ნაწილია ფიქსირებული ანაზღაურება. ასევე მათზე შეიძლება გაიცეს როგორც წამახალისებელი პერიოდული ანაზღაურება, ასევე წლის შედეგების შესაბამისად წლიური ბონუსი.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურება უნდა შეესაბამებოდეს მათ ჩართულობას, როგორიცაა გაწეული ძალისხმევა და დახარჯული დროის რესურსი, ასევე დაკისრებულ პასუხისმგებლობებს. მათი ანაზღაურება რისკის ქვეშ არ უნდა აყენებდეს მათ მიუკერძოებლობას. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურება უნდა მოიცავდეს მხოლოდ ფიქსირებულ ანაზღაურებას, როგორც ეს დადგენილია მოქმედი კანონმდებლობით. ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელ წევრთა და ბანკის თანამშრომელთა ფიქსირებული ანაზღაურება ექვემდებარება ყოველწლიურ გადახედვას. ბანკის სამეთვალყურეო საბჭო განსაზღვრავს, ამტკიცებს და აკონტროლებს ბანკის ანაზღაურების პოლიტიკის განხორციელებას. ასევე განიხილავს და ამტკიცებს ბანკის საშტატო განრიგს და იღებს გადაწყვეტილებას ბანკის დირექტორთა საბჭოს წევრთა შრომის ანაზღაურებაზე; ბანკის დირექტორთა საბჭო უზრუნველყოფს შრომის ანაზღაურების პოლიტიკის განხორციელებას; ბანკში

შრომის ანაზღაურების სტრუქტურა, განსაკუთრებით კი სახელფასო სქემა, თანამშრომლებს მიეწოდება მარტივად და გამჭვირვალედ. ბანკის დირექტორთა საბჭო შრომის ანაზღაურების სტრუქტურის შესახებ ანგარიშს ყოველწლიურად აბარებს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს. ბანკში სახელფასო სქემას ამტკიცებს ბანკის დირექტორატი სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ანაზღაურების ფონდის ფარგლებში. ბანკის დირექტორთა საბჭოს შრომის ანაზღაურების სქემას და ბანკის ანაზღაურების ფონდს ამტკიცებს ბანკის სამეთვალყურეო საბჭო;

ბანკი: სს "სილქ როუდ ბანკი"
თარიღი: 12/31/2018

ცხრილი 20 **ფასს-ის მიხედვით მომზადებული ფინანსურ ანგარიშგებასა და საზედამხედველო მიზნებისთვის მომზადებულ ანგარიშგებას შორის კავშირი**

	a	b	c	d	e	f													
						საბალანსო ღირებულებების გადაყვანა სტანდარტიზებული საზედამხედველო ანგარიშგების ფორმატში													
						1	2	3	4	5	6.1	6.2	6	7	8	9	10	11	12
	აქტივები (როგორც წარმოდგენილია გამოქვეყნებულ ფასს ფინანსურ ანგარიშგებაში)	გამოქვეყნებულ ფასს ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული საბალანსო ღირებულები	საბალანსო ღირებულებები ფასს-ის მიხედვით საზედამხედველო მიზნებისთვის გამოქვეყნებული კონსოლიდაციის დონეზე (ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება)	საბალანსო ღირებულებები ადეკვატური სტანდარტიზებული აღრიცხვის წესების მიხედვით (ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება)	შენიშვნები	საკუთარი წილი	წილობრივი ხასიათის ფასიანი ფოლიოები	წილობრივი ხასიათის ფასიანი ფოლიოებისგან განსხვავებული ფასიანი ქაღალდები	ფასიანი ქაღალდების დაუფლებისგან მიღებული ფასიანი ქაღალდები	ხანგრძლივვადიანი ფასიანი ქაღალდები	მათ შორის: ხელშეკრულებიდან გამომდინარე ფასიანი ქაღალდები	მათ შორის: ხელშეკრულებიდან გამომდინარე ფასიანი ქაღალდების ნაგებობები	წმინდა ხელზეგა	ფინანსურ ინსტრუმენტებში ინვესტიციები, ასოცირებული და შვილობილი კომპანიები	დაბალი ფასეულობა ვადიანობა, და ბანკთაშორისი ფულადი სახსრები	ინვესტიციები საინვესტიციო კომპანიებში	ძირითადი საშუალებები, ინვესტიციები უძრავ ქონებაში	სხვა აქტივები	მთლიანი აქტივები
1	ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	20,073,137		5,051,511		5,051,511	1,579,632	13,441,994											**20,073,137**
2	მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	2,182,898		17,358,431			2,182,898												**2,182,898**
3	კლიენტებზე გაცემული სესხები	15,987,063		16,476,306							18,987,865	-3,463,384	15,524,480	272,284				190,299	**15,987,063**
4	საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები:																		**0**
	- გასაყიდად გამიზნული	20,000		20,000												20,000			**20,000**
	- დაფარვის ვადამდე ფლობილი	13,617,248		13,617,248					13,125,105					492,143					**13,617,248**
	- სესხები და მისაღები ანგარიშები	0		0															**0**
4	საინვესტიციო ქონება	0		795,961															**0**
5	ძირითადი საშუალებები	18,188,669		14,589,204													17,609,856	578,813	**18,188,669**
6	სხვა აქტივები	822,690		1,285,125										10,766				811,924	**822,690**
7	არამატერიალური აქტივები	56,368		56,368													56,368		**56,368**
8	მოგების საგადასახადო აქტივი	54,936		360,953														54,936	**54,936**
9	გასაყიდად არსებული აქტივები	4,916,317		0											4,916,317				**4,916,317**
	მთლიანი აქტივები	**75,919,325**	**0**	**69,611,106**	**0**	**5,051,511**	**3,762,530**	**13,441,994**	**13,125,105**	**0**	**18,987,865**	**-3,463,384**	**15,524,480**	**775,192**	**4,916,317**	**20,000**	**17,666,223**	**1,635,972**	**75,919,325**

	a	b	c	d	e	f									
						საბალანსო ღირებულებების გადაყვანა სტანდარტიზებული საზედამხედველო ანგარიშგების ფორმატში									
						13	14	15	16	17	18	19	20	21	22
	ვალდებულებები (როგორც წარმოდგენილია გამოქვეყნებულ ფასს ფინანსურ ანგარიშგებაში)	გამოქვეყნებულ ფასს ანგარიშგებაში მოცემული საბალანსო ღირებულები	საბალანსო ღირებულებები ფასს-ის მიხედვით საზედამხედველო მიზნებისთვის გამოქვეყნებულ კონსოლიდაციის დონეზე (ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება)	საბალანსო ღირებულებები ადეკვატური სტანდარტიზებული აღრიცხვის წესების მიხედვით (ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება)	შენიშვნები	ბანკების დეპოზიტები	მიმდინარე ანგარიშები (ანგარიშსწორების ანგარიშები)	მოთხოვნამდე დეპოზიტები	ვადიანი დეპოზიტები	საკუთარი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ფასიანი ქაღალდები	ნასესხები სახსრები	დანარჩენი ფულადი ვალდებულებები და ანარიცხები	სხვა ვალდებულებები	სუბორდინირებული ვალდებულებები	მთლიანი ვალდებულებები
1	ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	**0**		**0**											**0**
2	სუბორდინირებული სესხი			0										0	**0**
3	ვალდებულებები კლიენტების წინაშე	12,892,663		13,046,573			10,052,998	1,492,485	1,317,237			29,943			**12,892,663**
4	მოგების გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	133,946		612,632										133,946	**133,946**
5	ანარიცხები	0		0											**0**
6	სხვა ვალდებულებები	872,059		532,160									872,059		**872,059**
	მთლიანი ვალდებულებები	**13,898,669**	**0**	**14,191,365**	**0**	**0**	**10,052,998**	**1,492,485**	**1,317,237**	**0**	**0**	**29,943**	**872,059**	**133,946**	**13,898,668**

	a	b	c	d	e	f							
						საბალანსო ღირებულებების გადაყვანა სტანდარტიზებული საზედამხედველო ანგარიშგების ფორმატში							
						23	24	25	26	27	28	29	30
	კაპიტალი (როგორც წარმოდგენილია გამოქვეყნებულ ფასს ფინანსურ ანგარიშგებაში)	გამოქვეყნებულ ფასს ანგარიშგებაში მოცემული საბალანსო ღირებულები	საბალანსო ღირებულებები ფასს-ის მიხედვით საზედამხედველო მიზნებისთვის გამოქვეყნებულ კონსოლიდაციის დონეზე (ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება)	საბალანსო ღირებულებები ადეკვატური სტანდარტიზებული აღრიცხვის წესების მიხედვით (ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება)	შენიშვნები	ზეგავლენა აქციებზე	პრივილეგირებული აქციები	მათ შორის: გამოსყიდული აქციები	ხაზინაში კაპიტალი	საგარეო რეზერვები	მოგებაზე ან ზარალზე მოგება	აქციათა ემისიიდან გადაჭარბებული ფასები	სულ ხაზინაში კაპიტალი
1	საწესდებო კაპიტალი	61,146,400		61,146,400		61,146,400							**61,146,400**
2	მარის და შენობების გადაფასების რეზერვი	7,322,225		4,982,432								7,322,226	**7,322,226**
3	გაანაწილებელი მოგება	-6,447,969		-10,709,091							-6,447,969		**-6,447,969**

ბანკი: სს სილქ როუდ ბანკი
თარიღი: 12/31/2018

ცხრილი 21 **კონსოლიდაცია საწარმოების მიხედვით**

	კომპანიის დასახელება	სააღრიცხვო კონსოლიდაციის მეთოდი	საზედამხედველო კონსოლიდაციის მეთოდი				აღწერა
			სრული კონსოლიდაცია	პროპორციული კონსოლიდაცია	არც კონსოლიდირებული და არც დაქვითული	დაქვითული	
1		სრულად კონსოლიდირებული				x	
2		ნაწილობრივ კონსოლიდირებული			x		
3		არაკონსოლიდირებული				x	

ბანკი: სს სილქ როუდ ბანკი
თარიღი: 12/31/2018

ცხრილი 22 **ინფორმაცია საოპერაციო დანაკარგების მოცულობის შესახებ**

		12/31/2018	12/31/2017	12/312016
1	დანაკარგების მთლიანი მოცულობა	56,163	0	0
2	დანაკარგების მთლიანი მოცულობა, რომლებიც აღემატება 10,000 ლარს	56,163	0	0
3	მოვლენების რაოდენობა, რომელთა დანაკარგიც აღემატება 10,000 ლარს	1	0	0
4	5 უმსხვილესი დანაკარგის საერთო მოცულობა	56,163	0	0

ბანკი: სს სილქ როუდ ბანკი
თარიღი: 12/31/2018

ცხრილი 23 **ინფორმაცია საოპერაციო რისკების ძირითადი (საბაზისო) ინდიკატორის მეთოდის მიზნებისათვის გამოყენებულ შემოსავლებზე**

		a	b	c	d	e
		12/31/2018	12/31/2017	12/31/2016	წმინდა საპროცენტო და წმინდა არასაპროცენტო შემოსავლების ჯამის საშუალო მაჩვენებელი ბოლო სამი წლის მანძილზე	საოპერაციო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები
1	წმინდა საპროცენტო შემოსავლები	2,810,056	2,279,841	2,546,717		
2	მთლიანი არასაპროცენტო შემოსავლები	2,144,182	1,073,458	132,888		
3	*მინუს: ქონების გაყიდვიდან მიღებული მოგება (ზარალი)*	22,121	-303,210	-762,127		
4	**მთლიანი შემოსავალი (1+2-3)**	4,932,117	3,656,509	3,441,733	4,010,120	7,518,974

ბანკი: სს სილქ როუდ ბანკი
თარიღი: 12/31/2018

ცხრილი 24 **ფინანსური წლის განმავლობაში მინიჭებული ანაზღაურება**

			დირექტორატი	სამეთვალყურეო საბჭო	სხვა მატერიალური რისკის ამღები პირები
1	ფიქსირებული ანაზღაურება	თანამშრომელთა რაოდენობა	3	1	
2		მთლიანი ფიქსირებული ანაზღაურება	367,260	6,250	84,840
3		მათ შორის: ფულადი ფორმის	366,000	6,250	84,000
4		მათ შორის: გადავადებული			
5		მათ შორის: აქციები და აქციებთან დაკავშირებული ინსტრუმენტები			
6		მათ შორის: გადავადებული			
7		მათ შორის: სხვა ფორმის	1,260		840
8		მათ შორის: გადავადებული			
9	ცვალებადი ანაზღაურება	თანამშრომელთა რაოდენობა			
10		მთლიანი ცვალებადი ანაზღაურება	0	0	
11		მათ შორის: ფულადი ფორმის			
12		მათ შორის: გადავადებული			
13		მათ შორის: აქციები და აქციებთან დაკავშირებული ინსტრუმენტები			
14		მათ შორის: გადავადებული			
15		მათ შორის: სხვა ფორმის			
16		მათ შორის: გადავადებული			
17	სულ ანაზღაურება		367,260	6,250	

ბანკი: სს სილქ როუდ ბანკი
თარიღი: 12/31/2018

ცხრილი 25 **განსაკუთრებული გადახდები**

		დირექტორატი	სამეთვალყურეო საბჭო	სხვა მატერიალური რიგის ამღები პირები
გარანტირებული ბონუსები	თანამშრომელთა რაოდენობა	-	-	-
	ბონუსების მოცულობა	-	-	-
ახალ თანამშრომელთა ანაზღაურება	თანამშრომელთა რაოდენობა	-	-	-
	ანაზღაურების მოცულობა	-	-	-
	მათ შორის: ფულადი სახით	-	-	-
	მათ შორის: აქციების სახით	-	-	-
	მათ შორის: აქციებთან დაკავშირებული ინსტრუმენტების სახით	-	-	-
	მათ შორის: სხვა ფორმით	-	-	-
თანამშრომელთა გათავისუფლების ხარჯები	თანამშრომელთა რაოდენობა	-	-	-
	ანაზღაურების მოცულობა	-	-	-
	მათ შორის: ფულადი სახით	-	-	-
	მათ შორის: აქციების სახით	-	-	-
	მათ შორის: აქციებთან დაკავშირებული ინსტრუმენტების სახით	-	-	-
	მათ შორის: სხვა ფორმით	-	-	-

ბანკი: სს სილქ როუდ ბანკი
თარიღი: 12/31/2018

ცხრილი 26 **ინფორმაცია გადავადებული ანაზღაურების შესახებ**

		a	b	c	d	e
		გადავადებული ანაზღაურების მთლიანი მოცულობა	მათ შორის: გადავადებული ანაზღაურების ის ნაწილი რომელიც ექვემდებარება დარიცხვის შემდგომ პირდაპირ ან/და ირიბ კორექტირებებს	წლის განმავლობაში პირდაპირი კორექტირებების შედეგად მიღებული შემცირებების მთლიანი მოცულობა	წლის განმავლობაში ირიბი კორექტირებების შედეგად მიღებული შემცირებების მთლიანი მოცულობა	ფინანსური წლის განმავლობაში გადახდილი გადავადებული ანაზღაურების მთლიანი მოცულობა
1	დირექტორატი	-	-	-	-	-
2	ფულადი სახით	-	-	-	-	-
3	აქციების სახით	-	-	-	-	-
4	აქციებთან დაკავშირებული ინსტრუმენტების სახით	-	-	-	-	-
5	სხვა ფორმით	-	-	-	-	-
6	სამეთვალყურეო საბჭო	-	-	-	-	-
7	ფულადი სახით	-	-	-	-	-
8	აქციების სახით	-	-	-	-	-
9	აქციებთან დაკავშირებული ინსტრუმენტების სახით	-	-	-	-	-
10	სხვა ფორმით	-	-	-	-	-
11	სხვა მატერიალური რისკის ამღები პირები	-	-	-	-	-
12	ფულადი სახით	-	-	-	-	-
13	აქციების სახით	-	-	-	-	-
14	აქციებთან დაკავშირებული ინსტრუმენტების სახით	-	-	-	-	-
15	სხვა ფორმით	-	-	-	-	-
16	სულ	-	-	-	-	-